ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №69

06.08.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032121068-03; 29.07.2021);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**12-03212152-03; 03.08.2021).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებელი:

- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032121068-03; 29.07.2021):**

დ.ჯაიანი - მოგესალმებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსის (M_2 კატეგორია) მარშრუტის დანართი 2-ში, ასევე დანართი 3-ში და დანართი 4-ში შედის შესაბამისი ცვლილებები.

კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების დანართი 2-ის ლოტი №3-დან **ამოღებული იქნება №583 მარშრუტი,** ვინაიდან, ავტობუსის (M_3 კატეგორია) №377 ახალი მარშრუტი სრულად დაფარავს ავტობუსის (M_2 კატეგორია) №583 მარშრუტის გზასავალს.

ზ/ა გამომდინარე, იცვლება ლოტი №3-ში შემავალ მარშრუტებზე ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობები, კერძოდ:

№436 მარშრუტზე მაქსიმალური რაოდენობა ნაცვლად 6 ერთეულისა გახდება 8, **№448** მარშრუტზე ნაცვლად 9 ერთეულისა გახდება 12, **№504** მარშრუტზე ნაცვლად 13 ერთეულისა გახდება 16, **№576** მარშრუტზე ნაცვლად 5 ერთეულისა გახდება 8 ერთეული. ჯამში ლოტი №3-ში იქნება მაქსიმალური 44 ერთეული.

ასევე ცვლილება შედის დანართი 3-ში და დანართი 4-ში, საიდანაც ამოღებული იქნება №583 მარშრუტი.

აქვე, კომისიას ვთხოვ, დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილებას და მის ფორმულირებას შემდეგი რედაქციით:

- „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 7 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 6 აგვისტოს სხდომაზე იმსჯელა და სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით მიზანშეწონილად მიიჩნია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032121068-03; 29.07.2021)** მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03212152-03; 03.08.2021):**

დ.ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მგზავრთა მომსახურეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტებსა (დანართი 2) და მათ განრიგში (დანართი 3) შესაბამისი კორექტივების შეტანა ხდება.

კერძოდ, პროექტით დანართი 2-ს ემატება ამჟამად მოქმედი ავტობუსების №321 და №339 მარშრუტები, ასევე, ახალი №377 მარშრუტი.

წარმოდგენილი ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტები მოძრაობენ შემდეგ გზასავალზე:

№321 მარშრუტი - დიდი დიღმის IV მ/რაიონი, კორპუსი №6-ის მიმდებარედ (დემეტრე თავდადებულის ქ.) – დიდი დიღმის IV მ/რაიონი (დემეტრე თავდადებულის ქ. – არჩილ მეფის ქ.) – დიდი დიღომი III-I მ/რ (მირიან მეფის ქ.) – ჯორჯ ბალანჩინის ქ. – გიორგი მინდელის ქ. – თენგიზ შეშელიძის ქ. – მ/ს „სარაჯიშვილი“ (მიმდებარედ).

უკუ მიმართულება: მ/ს „სარაჯიშვილი“ (მიმდებარედ) – დავით სარაჯიშვილის გამზირი - თენგიზ შეშელიძის ქ. – ქართულ-ამერიკული მეგობრობის გამზირი – მირიან მეფის ქ. – დიდი დიღომი I -III მ/რ (მირიან მეფის ქ.) – დიდი დიღმის IV მ/რაიონი (არჩილ მეფის ქ. – დემეტრე თავდადებულის ქ.) – დიდი დიღმის IV მ/რაიონი, კორპუსი №6-ის მიმდებარედ (დემეტრე თავდადებულის ქ.).

№339 მარშრუტი - გლდანის VII-VIII მ/რ-ის შემაერთებელი გზა (ხიზანიშვილის ქ. №152-ის მოპირდაპირედ) - ილია ვეკუას ქ. (გლდანის VII-V-III-I მ/რ) -მ/ს "ახმეტელის თეატრი" (მიმდებარედ) - ომარ ხიზანიშვილის ქ. (გლდანის II-IV-VI-VIII მ/რ) - გლდანის VII-VIII მ/რ-ის შემაერთებელი გზა (ხიზანიშვილის ქ. 152-ის მოპირდაპირედ).

№377 მარშრუტი - საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი ,,თბილისის ზღვის პლაზა“-ს მიმდებარე ტერიტორია (ს/კ: 404934381) - ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვ. (№14ა,13,12,11,10,14,15,16 კორპუსების - მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქ. - ზურაბ პატარიძის ქ. - თეოფანე დავითაიას ქ. - შანდორ პეტეფის ქ. - ლიზა ნაკაშიძე-ბოლქვაძის ქ. - მ/ს ,,ვარკეთილი" (საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარედ).

უკუ მიმართულება: მ/ს ,,ვარკეთილი" (საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარედ) - ჯავახეთის ქ. - 17 შინდისელი გმირის ქ. - შანდორ პეტეფის ქ. - თეოფანე დავითაიას ქ. - ზურაბ პატარიძის ქ. - მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქ. - ვაზისუბნის დასახლება III მ/რ, II კვ. (№16,15,14,10,11,12,13,14ა კორპუსების გავლით) - საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი "თბილისის ზღვის პლაზა"-ს მიმდებარე ტერიტორია (ს/კ: 404934381).

ცვლილებები შედის დანართი 3-შიც, სადაც დანართს ემატება სამუშაო განრიგები ზ/ა მარშრუტებისთვის.

კომისიას ვთხოვ, დადგენილების ამოქმედების თარიღის ცვლილებას და მის ფორმულირებას შემდეგი რედაქციით:

- „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 7 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- სატრანსპორტო საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 6 აგვისტოს სხდომაზე იმსჯელა და სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით მიზანშეწონილად მიიჩნია„„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03212152-03; 03.08.2021) მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე